

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის
ოქმი №21

2019 წლის 1 ნოემბერი, 12:00 საათი

ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე -გიორგი ღამბაშიძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი-გიორგი მანგოშვილი.

მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მ/შ-ჯონდო კობერიძე.

-1-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის 3 კვარტლის ანგარიშის მიმოხილვა.

/მომხს: გ. მანგოშვილი, ნ. კუპრაშვილი/

-2-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

/მომხს:ჯ.კობერიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -19, წინააღმდეგი-1 ფირუზ გელაშვილი)

გადაწყვიტეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - სოფელ კაბალში მდებარე 891 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი /საკ.კოდი N54.10.57.423/ - სახელმწიფოს საკუთრებაში გადაეცეს უსასყიდლოდ.

/განკარგულება №60-ი თან ერთვის/

-3-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 ივნისის №26-ი განკარგულებაში მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა რაოდენობის მოკვლევის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს:ს.კვერნაძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -20, წინააღმდეგი-0)

გადაწყვიტეს:

შეტანილ იქნეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 ივნისის №26-ი განკარგულებაში „დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ .

/განკარგულება №63-ი თან ერთვის/

-4-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 ივნისის №25-ი განკარგულებაში ქალაქ ლაგოდეხში საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს:ს.კვერნაძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -20, წინააღმდეგი-0) გადაწყვიტეს:

შეტანილ იქნეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 ივნისის №25-ი განკარგულებაში „დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ .

/განკარგულება №64-ი თან ერთვის/

-5-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 ივნისის №29-ი განკარგულებაში გეოგრაფიული ობიექტების სახელდების დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს:ს. კვერნაძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -20, წინააღმდეგი-0) გადაწყვიტეს:

შეტანილ იქნეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 ივნისის №29-ი განკარგულებაში „დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ .

/განკარგულება №62-ი თან ერთვის/

-6-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 ივნისის №33-ი განკარგულებაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების (პარკების) და სპორტული მოედნების მოწყობა-დაგეგმარების დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს:ს.კვერნაძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -20, წინააღმდეგი-0) გადაწყვიტეს:

შეტანილ იქნეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 ივნისის №33-ი განკარგულებაში „დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ .

/განკარგულება №61-ი თან ერთვის/

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი



გიორგი ღამბაშიძე